ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2019 წლის ანგარიში

tacsa@moesd.gov.ge თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას №8, (0186) ტელ/ფაქსი: (+995 32) 293-27-32 tacsa.gov.ge

სარჩევი

სააგენტოს ძირითადი ფუნქციები ---------- 3

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები ---------- 4

სამშენებლო ზედამხედველობა - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები ---------- 5

ტექნიკური ზედამხედველობა - მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები ------ 8

სამრეწველო და სამომხმარებლო ბაზარზე ზედამხედველობის ინსტიტუციონალური ცვლილება და ახალი სააგენტო ---------- 10

მთის ინფრასტრუქტურის განვითარება ---------- 11

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ---------- 14

სააგენტოს ჩართულობა კინოინდუსტრიის წახალისების სახელმწიფო პროექტში ---------- 16

ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო ---------- 19

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების სამმართველო ----- 24

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველო - 30

ინდუსტრიულ ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო ---------- 32

სამთო ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო ---------- 35

ტექნიკური ზედამხედველობის სტატისტიკა ---------- 39

ბაზარზე ზედამხედველობის სამმართველო ---------- 40

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო ---------- 42

ევროკავშირთან დაძმობილების პროექტი - „თვინინგი“ - ბაზარზე ზედამხედველობის განვითარებისთვის ---------- 46

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება ---- 49

თანამშრომლობა სხვა უწყებებთან ---------- 51

სააგენტოს აქტივობები ---------- 53

სამომავლო გეგმები ---------- 54

სააგენტოს ძირითადი ფუნქციები

- **განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;**
- **სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა;**
- **მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის სავალდებულო ინსპექტირების განხორციელება** ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, შესაძლო საფრთხის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, ორგანოლეპტიკური შეგრძნებების საფუძველზე; ფორსმაჟორის შემთხვევაში; ავარიის შემთხვევაში; უბედური შემთხვევის დროს, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება ან სიკვდილი;
- მშენებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;
- მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება;
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ (მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ) ობიექტებზე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება, ინსპექტირების ორგანოების ჩამოყალიბებამდე;
- ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტური კონტროლის განხორციელება ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და საინსპექციო ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;
- უწყებრივ რეესტრში ობიექტების რეგისტრაციის წარმოება;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევებში დამრღვევი პირისთვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის დაკისრება;
- მითითებების გაცემა ან/და გონივრული ვადის განსაზღვრა შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;
- ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შემუშავება მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში;
- პერსონალის გადამზადება, სწავლება, ამ მიზნით ტრენინგებისა და კურსების ჩატარება.
- საქართველოს ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტების ზედამხედველობის ხელშესაწყობად, რომელთა მიმართ დადგენილია მოთხოვნები შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, აღნიშნული ზედამხედველობის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელების მიზნით წინამოსამზადებელი ქმედებების უზრუნველყოფა;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები



სამშენებლო ზედამხედველობა - განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა, რადიაციული და ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილების 50-ე მუხლით დადგენილია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების განმსაზღვრელი მახასიათებლები. ისინი ხასიათდება რისკის მომეტებული ფაქტორით:

საწარმოები

- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დამამზადებელი საწარმოები;
- დღე-ღამეში 100 ტ-ზე მეტი მწარმოებლურობის მინერალური სასუქის მწარმოებელი საწარმოები;
- დღე-ღამეში 500 ტ-ზე მეტი მწარმოებლურობის ნავთობ- და გაზგადამმუშავებელი საწარმოები;
- ჰაერის დაყოფის პროდუქტების (ჟანგბადი, აზოტი, არგონი, კრიპტონი, ქსენონი და ნეონჰელიუმის ნარევი) მწარმოებელი საწარმოები;
- ქიმიური ბოჭკოს ან/და პოლიმერული მასალების მწარმოებელი საწარმოები;
- საღებავი მასალების მწარმოებელი საწარმოები, რომლებშიც მიმდინარეობს პროცესები ქიმიური ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ცელულოზა ქაღალდის მწარმოებელი საწარმოები;
- რეზინტექნიკური ნაკეთობების მწარმოებელი საწარმოები;
- დღე-ღამეში 10 ტ-ზე მეტი მწარმოებლურობის სპირტის საწარმოები;
- ცივი ან/და ცხელი ნაგლინის მწარმოებელი საწარმოები;
- შავი ან/და ფერადი ლითონების ჩამოსხმის საწარმოები;

მშენებლობები გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე

- შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობები;

ტრანსპორტი

- მეტროპოლიტენი;
- საჰაერო-საბაგირო გზა;
- ფუნიკულიორი;
- მაგისტრალური რკინიგზა;

სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლა

- საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა;
- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა;
- აეროდრომი კოდური აღნიშვნით 4D (ასაფრენი ზოლის სიგრძე 1800 მ და მეტი და თვითმფრინავის ფრთების გაშლის სიგანე 36 მ და მეტი) და მზიდუნარიანობით PCN 25 და მეტი;
- სატრანსპორტო გვირაბი;

ელექტროსადგურები და მათთან დაკავშირებული ობიექტები

- ელექტროსადგურები (თბოელექტროსადგური, ჰიდრო-ელექტროსადგური 50 მვტ და მეტი);
- ელექტროქვესადგური 330 კ.ვოლტი და მეტი;
- ელექტროგადამცემი ხაზები 154 კვ.-დან 330 კვ. და მეტი;

ნავთობისა და გაზის ობიექტები

- მაგისტრალური ნავთობსადენი;
- მაგისტრალური გაზსადენი;
- მაგისტრალური გაზსადენის საკომპრესორო ან/და გაზგამანაწილებელი სადგური წარმადობით 3000 მ.კბ/სთ და მეტი;
- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი აირის საცავები – ტერმინალები, ავზების ჯამური მოცულობით 1000 მ3 და მეტი;

წყალთან დაკავშირებული ობიექტები

- წყალსაცავი 100 000 მ3 და მეტი მოცულობის;
- წყალსადენი, მუშა წნევით – 25 და მეტი ატმოსფერო და 1 400 მმ-ისა და მეტი დიამეტრით ან/და წყალმომარაგების სათავო ნაგებობები დღე-ღამეში 5000 მ3-ითა და მეტი წარმადობით;
- წყალარინების მილი დიამეტრით 1 500 მმ ან/და გამწმენდი ნაგებობები დღე-ღამეში 5000 მ3 და მეტი წარმადობით;
- სამელიორაციო და საირიგაციო სისტემები (წყალმიმღები ნაგებობა და მაგისტრალური არხები);

განსაკუთრებული პარამეტრების მქონე ობიექტები

- 1000 მ3 და მეტი მოცულობის მონოლითური ნაგებობა სეისმური ნაკერების გარეშე;
- 50 მ ან/და მეტი სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 30 მ და მეტი ჩაღრმავების მქონე ნაგებობა;

- ნაგებობა, რომლის მალის ან/და ფერმის ან/და სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე მეტია 24 მ-ზე;
- სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი ნაგებობა;
- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი ნაგებობა;

სასტუმროები

„თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასაშენებელი სასტუმროები;

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ნაწილი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ყველა სახის შენობა-ნაგებობები.

ანძები

საქართველოს რადიო-სარელეო სისტემის ანძები;

ტექნიკური ზედამხედველობა - მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები

სამთო ობიექტები

- კარიერი
- მაღარო
- შახტი
- ბუნებრივი გამოქვაბული და მღვიმე, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება;

ინდუსტრიული ობიექტები

ნავთობი და გაზი

- ნავთობბაზა;
- მაგისტრალური ნავთობსადენი;
- მაგისტრალური გაზსადენი;

ტრანსპორტი და მშენებლობა

- ამწე მოწყობილობა;
- ლიფტი;
- ესკალატორი;
- ფუნიკულიორი;
- საბაგირო გზა;

ჟანგბადთან დაკავშირებული ობიექტები

- ჟანგბადის წარმოება და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესი;
- თხევადი ჟანგბადის წარმოება;
- რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნა;

ქიმიური ობიექტები

- სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი;

განსაკუთრებული პარამეტრების მქონე კონსტრუქციები

- ატრაქციონი;

წნევასა და წყალთან დაკავშირებული ობიექტები

- საქვაბე დანადგარი;
- წნევაზე მომუშავე ჭურჭელი;
- ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების (ხელოვნური წყალსატევები, კაშხლები, სარეგულაციო ნაგებობები, ჰიდრო ტექნიკური ნაგებობები) კონსტრუქციული მდგრადობა;

უსაფრთხოების მეთვალყურეობის სისტემები

- ავტოგასამართი სადგურისა და ავტოგასამართი კომპლექსის: ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები სადგურების ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მონტაჟი და ფუნქციონირება;

სამრეწველო და სამომხმარებლო ბაზარზე ზედამხედველობის ინსტიტუციონალური ცვლილება და ახალი სააგენტო

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეანხმების შესაბამისად, საქართველოში დაინერგა ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა. 2019 წელს დაიწყო ინსტიტუციონალური ცვლილების მოსამზადებელი პროცესი და 2020 წლის 1 იანვარს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში განხორციელდა ინსტიტუციონალური ცვლილება:

სააგენტოს გამოეყო ბაზარზე ზედამხედველობის სამმართველო, რომლის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

აღნიშნული სააგენტო ზედამხედველობას განახორციელებს სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე, რაც წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ვალდებულებას.

მთის ინფრასტრუქტურის განვითარება

სააგენტო ხელს უწყობს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარებას და აღნიშნულ ტერიტორიაზე:

- **გასცემს მშენებლობის ნებართვებს**
- **ახორციელებს მშენებლობების სახელმწიფო ზედამხედველობას**
- **ექსპლუატაციაში იღებს მშენებლობადამთავრებულ ობიექტებს**

კურორტის წარმატებული განვითარების მიზნით, ნებართვის გაცემამდე დეტალურად ფასდება სამშენებლო ობიექტის ფასადი და ადგილმდებარეობა და მათი შესაბამისობა გუდაურის განაშენიანების რეგულირების გეგმასთან.

მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის პროცესში კონტროლდება მშენებლობის სანებართვო პირობების დაცულობა, უსაფრთხოების ნორმების დაცვის ხარისხი და სხვა. მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება ხორციელდება მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულების შემდეგ.

ნებართვის მიღება შესაძლებელია ადგილიდან გაუსვლელად, სააგენტოს ვებ-გვერდის საშუალებით - ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის სწრაფად და მარტივად მიღების მიზნით, სააგენტომ:

- **დანერგა ნებართვის მიღების ელექტრონული ინტერნეტ-პლატფორმა**

სააგენტო ერთადერთი სახელმწიფო უწყებაა, რომლის

- **გეოინფორმაციული სისტემების ბაზაში ასახულია გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე გაცემული მშენებლობის ნებართვები, სამშენებლო ზედამხედველობა, აშენებული და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები**

2019 წლის სტატისტიკური მონაცემები

- მშენებლობის ნებართვები როგორც მსხვილი კომპანიებისთვის, ასევე, ფიზიკური პირებისთვის:
  - 22 სასტუმრო, მათ შორის: **„რედისონი“**, „**მარკო-პოლოს**“ გაფართოება, „**ბესტ ვესტერნი**“,
  - 26 მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  - სხვა დანიშნულების ობიექტები
- 100-ზე მეტი ადმინისტრაციული წარმოება გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით.
- 100-ზე მეტი სახელმწიფო ზედამხედველობა მიმდინარე მშენებლობებზე.
- 300-მდე ახალი მონაცემი სამშენებლო ობიექტების შესახებ გეოინფორმაციული სისტემების ბაზაში აისახა

სააგენტო დოკუმენტურ კონტროლსა და ადგილზე ტექნიკურ ინსპექტირებას ახორციელებს:

უსაფრთხოების ხარისხის კონტროლის მიზნით, ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს სამთო კურორტებზე არსებულ საბაგირო გზებს.

- 2019 წლის განმავლობაში სააგენტომ საბაგირო გზებზე 17 ტექნიკური ინსპექტირება და 13 დოკუმენტური კონტროლი განახორციელა.

მასშტაბური საინფორმაციო შეხვედრა

2019 წელს სააგენტომ გუდაურში გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობების განმახორციელებელ კომპანიებსა და კერძო პირებს შეხვდა.



- სააგენტოს უფროსმა დამსწრეებს დეტალურად გააცნო მშენებლობის ნებართვის მიღებისა და სამშენებლო სახელმწიფო ზედამხედველობის პროცედურები.
- განხილულ იქნა აქტუალური საკითხები და სამომავლო გეგმები.

2020 წელს სააგენტო აგრძელებს მონაწილეობას მთის ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

მთელი საქართველოს მასშტაბით სააგენტო გასცემს:

- მაგისტრალური გზების, ხიდების, რკინიგზის, საბაგირო გზების, გვირაბების მშენებლობის ნებართვებს;
- აღნიშნული ნაგებობების მშენებლობის პროცესისთვის სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალის გამოყენების ნებართვებს.

2019 წელს გაიცა საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალების მონაკვეთების მშენებლობის 16 ნებართვა, საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის პროცესში საამფეთქებლო სამუშაოებისთვის ფეთქებადი მასალების გამოყენების 13 ნებართვა

რუკაზე: რიკოთის უღელტეხილის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი
4 ლოტი: ჩუმათელეთი-ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთა



მათ შორის:

- საერთაშორისო მნიშვნელობის ევროპული ავტომაგისტრალის E-60 - ის მონაკვეთები. ავტომაგისტრალი საფრანგეთიდან იწყება და 12 ქვეყნის გავლით ჩინეთის საზღვრებამდე მიდის.
    - ჩუმათელეთი-ხევი
    - ხევი-უბისა
    - შორაპანი-არგვეთა F4-A
    - შორაპანი-არგვეთა F4-B
- თბილისი - მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი
- ქუთაისის შემოვლითი გზა
- გუდაური-კობის საჰაერო-საბაგირო გზა

„ევროპული ავტომაგისტრალის განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მოდერნიზებული ავტომაგისტრალი ნიშნავს გაზრდილ საერთაშორისო სატრანზიტო მიმოსვლას, კომფორტულ და უსაფრთხო საგზაო მოძრაობას“

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის განსახორციელებელმა ინვესტიციებმა შეადგინეს 4 მილიარდ ლარზე მეტი

სააგენტოს ჩართულობა კინოინდუსტრიის წახალისების სახელმწიფო პროექტში

სააგენტო მონაწილეობდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს ორგანიზებულ **კინოინდუსტრიის წახალისების პროექტში.** პროექტის ფარგლებში საქართველოში გადაიღეს სტუდია Universal Pictures-ის მსოფლიო კინოჰიტის - The Fast and The Furious **(„ფორსაჟის“)** მე-9 სერია.

- ფილმის მნიშვნელოვანი ეპიზოდების გადაღება საჭიროებდა **აფეთქებების იმიტაციებს,** რისთვისაც აუცილებელი იყო სააგენტოს მიერ სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა.
- საამფეთქებლო სამუშაოები ჩასატარებელი იყო თბილისისა და რუსთავის მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, რაც მოითხოვდა **განსაკუთრებულ ყურადღებას უსაფრთხოების დასაცავად.**

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი შეთავაზება კინოსტუდიებისთვის იყო გადაღებისთვის საჭირო ოფიციალური პროცედურების სწრაფად გავლა. პროექტის შეზღუდული ვადებიდან გამომდინარე, სამუშაო ძალების მობილიზაციის შედეგად, სააგენტომ ნებართვები მაქსიმალურად მოკლე ვადებში გასცა.

ნებართვების გასაცემად:

- სააგენტოს GIS სპეციალისტებმა გეოინფორმაციული სისტემების დახმარებით დეტალურად შეისწავლეს სიტუაციური გეგმები.
- შესწავლილ მონაცემებზე დაყრდნობით, სააგენტოს სპეციალისტებმა გადასაღები მოედნის სირთულიდან გამომდინარე, განსაზღვრეს საამფეთქებლო სამუშაოებისას დასაცავი მაქსიმალური უსაფრთხოების მოთხოვნები.
- სააგენტომ გასცა საამფეთქებლო სამუშაოების 4 ნებართვა.

სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ფინანსური შედეგი

სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა მილიონ ლარზე მეტი	**1 341 607 ლარი**
მშენებლობის ნებართვების მოსაკრებელი	**849 100 ლარი**
სამშენებლო ზედამხედველობის ჯარიმები	**303 342 ლარი**
მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ჯარიმები	**187 725 ლარი**
სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების მოსაკრებელი	**1 440 ლარი**

ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- სააგენტოში ყოველდღიურად შემოსული ოფიციალური კორესპონდენციის რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- საარქივო საქმის წარმოების წარმართვა, სახელმწიფო საარქივო ფონდში შესანახად განკუთვნილი დოკუმენტების დაცვა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სააგენტოში რეგისტრირებული კორესპონდენციის განაწილება და გადაცემა; სააგენტოს უფროსის მიერ ხელმოწერილი ბრძანებების სათანადო რეგისტრაცია და შენახვა, ბრძანებების რეესტრის წარმოება;
- სათანადო მასალების მომზადება სააგენტოდან საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის; დოკუმენტების ასლების ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმება; კადრების აღრიცხვის, მონიტორინგისა და ანალიზის განხორციელება, სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების, შვებულებების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული ბრძანებების პროექტების მომზადება, სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა, შრომის დისციპლინის კონტროლი;
- საფინანსო-ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია და წარმართვა, საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის ანალიზი, კრებსითი ბალანსების, ანგარიშების მომზადება, სააგენტოს ბიუჯეტისა და ხარჯთა ნუსხის პროექტების შემუშავება, ძირითადი საშუალებების, ფულადი სახსრებისა და საფინანსო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზება, კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და მათი სამინისტროში და ხაზინაში წარდგენა;
- სააგენტოს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა, სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს აქტივებისა და პასივების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, კვარტალური და წლიური ანგარიშების ანალიზი და განხილვა, წინადადებების შემუშავება ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება და განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უწყებრივი რეესტრის წარმოება, ინსპექტირების ორგანოების მონიტორინგის განხორციელება, საიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზება, საქართველოს და მსოფლიოს შრომის

უსაფრთხოების სფეროში დარგობრივი და საკანონმდებლო ანალიზი, შრომის დაცვის სფეროს კანონმდებლობაზე მუშაობა-ანალიზი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების მომზადებაში მონაწილეობა შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად მათი სააგენტოს უფროსისათვის შემდგომი ინიციირებისათვის მინისტრისადმი/კურატორი მოადგილისადმი, შრომის დაცვის საერთაშორისო ორგანოებთან ურთიერთობა;

- ინსპექტირების ოქმებში შეუსაბამობების გამოსწორებისათვის მითითებული ვადების დაცვის შემდგომი ერთობლივი კონტროლი შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად, სამართალდარღვევის საქმეების წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა;
- სააგენტოს ლოკალური კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება;
- ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ქსელის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა სახის კომუნიკაციების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ერთიანი ელექტრონული სისტემის ფორმირების უზრუნველყოფა ლოკალური და ცენტრალიზებული (მონაცემთა და გეომონაცემთა) ბაზების საფუძველზე;
- ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის უზრუნველყოფა;
- ერთიანი ელექტრონული სისტემის სრულყოფილი მუშაობის უზრუნველყოფა და სისტემაში დაფიქსირებული შეცდომების გასწორება;
- ერთიანი ელექტრონული სისტემის კონტროლის, დაარქივების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ერთიანი ელექტრონული სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გეოინფორმაციული სისტემის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა;
- ერთიანი გეოინფორმაციული სისტემის შექმნის უზრუნველყოფა;
- ერთიანი გეოინფორმაციული სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მასობრივი ინფორმაციების საშუალებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სააგენტოს უფროსის ურთიერთობის კოორდინირების უზრუნველყოფა;
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავების და ანალიზის უზრუნველყოფა;
- ვებპორტალის ფუნქციონირების უზრუნველყოფა: ინფორმაციის განთავსება, აქტუალიზაცია და ადმინისტრირება;
- კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე სააგენტოს თანამშრომლების და საზოგადოების ინფორმირება;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

ინფორმაციული სტატისტიკა 2019

- **100-მდე საჯარო ინფორმაცია** საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად გაიცა.

- **400-მდე მონაცემი გეოინფორმაციულ სისტემებში** არსებული ობიექტების მონაცემთა ბაზებში აისახა და განახლდა.

- **200-მდე ოქმი** ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რეესტრში გატარდა.

- **110 სანებართვო მოწმობა** განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების რეესტრში გატარდა.

- **მედიასთან** აქტიურად თანამშრომლობდნენ სააგენტოს ხელმძღვანელები და წარმომადგენლები. მედიაში შუქდებოდა სააგენტოსთან დაკავშირებული ინფორმაცია.

- **სააგენტოს საიტსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე** სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდებოდა.



სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2019		
2019 წლის სახელმწიფო ასიგნინების დაზუსტებული გეგმა - 1 710 000 ლარი		
	დაზუსტებული	**ათვისებული**
შრომის ანაზღაურება	1 158 300 ლარი	1 150 102 ლარი
საქონელი და მომსახურება	443 900 ლარი	386 413 ლარი
სოც. უზრუნველყოფა	16 700 ლარი	16 593 ლარი
სხვა ხარჯები	6 100 ლარი	5 218 ლარი
არაფინანსური აქტივების ზრდა	85 000 ლარი	84 850 ლარი
სულ	**1 710 000 ლარი**	**1 643 176 ლარი**

სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 2019	
სააგენტოს მიერ 2019 წელს გაწეული ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლები	38 300
ათვისებული	20 473
საქ. და მომსახურება	4 949
სხვა ხარჯები	5 352
არაფინანსური აქტივების ზრდა	10 171
ნაშთი წლის ბოლოს	91 043

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა;
- მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობაში მონაწილეთათვის, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში გასაცემი მითითების, შემოწმების აქტის მომზადება;
- შემოწმების აქტის საფუძველზე, თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, დადგენილების პროექტის მომზადება შესაბამისი სანქციის გამოყენების თაობაზე და აღნიშნული მასალების სააგენტოს უფროსისთვის წარდგენა;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოების მეთოდური ხელმძღვანელობა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტების ფარგლებში;
- სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტების ფარგლებში;
- დაუბრკოლებლად შევიდეს მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე;
- შეაჩეროს მშენებლობის წარმოება მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში მოსთხოვოს მშენებლობის დამკვეთს ან მშენებელ ორგანაზაციას განახორციელოს დამატებითი ლაბორატორიული გამოცდები და გაზომვები. თუ დარღვევა დადასტურდა, ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯებს გაიღებს დამრღვევი, წინააღმდეგ შემთხვევაში – სააგენტო მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან;
- მოამზადოს დადგენილების პროექტი მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების სრული ან ნაწილობრივი დემონტაჟისა და მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის სრული ან ნაწილობრივი შეჩერების ან/და დემონტაჟის შესახებ;

- მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სამშენებლო ობიექტების, ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მიერ მშენებლობის შემთხვევაში ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოების ორგანიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ადმინისტრაციული აქტის პროექტის მომზადება;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

სტატისტიკური მონაცემები

➢ მშენებლობების საინვესტიციო მოცულობამ შეადგინა 6 მილიარდ ლარზე მეტი.

- 2019 წელს გაცემულ იქნა მშენებლობასთან დაკავშირებული **313 ბრძანება.**
- მათ შორის, **94** ნებართვა გაიცა ახალი ობიექტის მშენებლობაზე.
- სანებართვო მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შევიდა **849 100** ლარი.

მშენებლობის ნებართვების სტატისტიკა





შენიშვნა:

2019 წელს ცხრილში შეტანილია მხოლოდ ახალი მშენებლობის ნებართვების რაოდენობა.

2019 წელს მშენებლობის ნებართვები გაიცა ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიც არის:

ენერგეტიკული ნაგებობები

- ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, 43 მვტ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებები- ჰიდროელექტროსადგურის ,,მტკვარი ჰესი"-ს სიმძლავრის გაზრდა 53 მვტ.
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭოროხზე 51, 251 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის ,,კირნათი ჰესი"-ს დარჩენილი სამუშაოები.
- ქვესადგურ ,,მენჯი-220"-ის პორტალსა და ქვესადგურ ,,ქუთაისი 220"-ის პორტალს შორის 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ,,კოლხიდა 1"-ის რეკონსტრუქცია.
- ქალაქ თბილისში, ქვესადგურ ,,თელეთში" შემავალი ელექტროგადამცემი ხაზის ,,ალგეთი" 220კვ-ს 220/110/35კვ მშენებლობა.
- კასპის მუნიციპალიტეტში ქარის მონაცემების გასაზომი მეტეოროლოგიური ანძის მშენებლობა.

მაგისტრალური გზები

- საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის, ჩუმათელეთი-ხევის (ლოტი F1) მონაკვეთის მშენებლობა.
- საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის, ხევი-უბისას (ლოტი F2) მონაკვეთის მშენებლობა.
- საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოვლითი გზა - სამტრედიის 2 ზოლიან მონაკვეთების (ლოტი 1 კმ 0+000 - კმ 6+000, ლოტი 2 კმ 6+000 –

კმ 13+400, ლოტი 3 კმ1 3+400 – კმ 30+000, ლოტი 4 კმ 30+000 – კმ 41+354) 4 ზოლიან ავტომაგისტრალად რეკონსტრუქცია.

- საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას (ლოტი F4-A) მონაკვეთის მშენებლობა.

- საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას (ლოტი F4-B) მონაკვეთის მშენებლობა.

- თბილისი - მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქვიშხეთი-ზვარეს დამაკავშირებელი მარყუჟის მონაკვეთის ცვლილებების (მე-7 გვირაბის დასავლეთ პორტალის მოწყობა და სიგრძის ცვლილება - 21902მ), სადგურ მოლითიდან მე-8 გვირაბის დასავლეთ პორტალამდე, სარკინიგზო ხაზის და მე-9 გვირაბის მეორე დამხმარე საოპერაციო გვირაბად გადაკეთება) მშენებლობა.

- საერთაშორისო მნიშვნელობის ს-3 მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ132 - კმ135 მონაკვეთზე გვირაბი და მისასვლელი საავტომობილო გზები.

მაგისტრალური გაზსადენები და ნავთობპროდუქტები

- აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის ,,ნატახტარი-ლეხურას“ მონაკვეთზე სამი განშტოების მშენებლობა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

- ,,ადიგენი-გოდერძის“ მაგისტრალური გაზსადენის 33 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა ადიგენის და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

- გაზმომარაგებისათვის 727 მეტრი სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენის დარჩენილი სამუშაოები გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე

საწარმოები

- თერჯოლის მუნიციპალიტეტში შავი ლითონის ჩამოსხმის საწარმოს მშენებლობა.

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების მწარმოებელი საწარმოს მშენებლობა.
- ქალაქ რუსთავში შავი ლითონის (სილიკომანგანუმი) ჩამოსხმის საწარმოს მშენებლობა.

საცხოვრებელი სახლები

- 26 საცხოვრებელი სახლი გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მრავალპროფილური საუნივერსიტეტო საავადმყოფოს კომპლექსის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილება - საერთო საცხოვრებლის დამატება.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორია

- 22 სასტუმრო
- 19 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
- 7 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- ფიჭური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის და 30 მეტრი სიმაღლის ანძა
- სხვა ობიექტები

სასტუმროები

- 22 სასტუმრო გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ განმუხურში სასტუმრო კომპლექსის სამშენებლო დოკუმენტის ცვლილებები და მშენებლობა.

საჰაერო და სატრანსპორტო მიმოსვლა

- ქალაქ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საჰაერო ხომალდების სადგომის №1 ბაქნის რეკონსტრუქცია - გაგანიერება.
- გუდაური-კობის საჰაერო-საბაგირო გზა

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სახელმწიფო ზედამხედველობის სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა;
- მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობაში მონაწილეთათვის, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში გასაცემი მითითების, შემოწმების აქტის მომზადება;
- შემოწმების აქტის საფუძველზე, თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, დადგენილების პროექტის მომზადება შესაბამისი სანქციის გამოყენების თაობაზე და აღნიშნული მასალების სააგენტოს უფროსისთვის წარდგენა;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოების მეთოდური ხელმძღვანელობა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტების ფარგლებში;
- სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტების ფარგლებში;
- დაუბრკოლებლად შევიდეს მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულსამშენებლო ობიექტზე;
- შეაჩეროს მშენებლობის წარმოება მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში მოსთხოვოს მშენებლობის დამკვეთს ან მშენებელ ორგანაზაციას განახორციელოს დამატებითი ლაბორატორიული გამოცდები და გაზომვები. თუ დარღვევა დადასტურდა, ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯებს გაიღებს დამრღვევი, წინააღმდეგ შემთხვევაში – სააგენტო მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან;
- მოამზადოს დადგენილების პროექტი მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამშენებლო ობიექტზე საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების სრული ან ნაწილობრივი დემონტაჟისა და მშენებარე შენობა-

ნაგებობების მშენებლობის სრული ან ნაწილობრივი შეჩერების ან/და დემონტაჟის შესახებ;

- მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სამშენებლო ობიექტების, ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მიერ მშენებლობის შემთხვევაში ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოების ორგანიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ადმინისტრაციული აქტის პროექტის მომზადება;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

შენიშვნა: 200-ზე მეტი ინსპექტირება მოიცავს როგორც გეგმიურ, ასევე, წინასწარ აღურიცხავ ფარული მშენებლობების ზედამხედველობას